ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ეკატერინე ჯანელიძე, შპს ენტერტეინმენტ ჰოლდინგი (577775077)

საფუძველი: 23.09.2013წ. №12/13266514-16

მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.№34

საკ.კოდი: №01.14.03.040.221

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 08.05.2013წ. №675829 (AR1119893); **III-კლასი**

ფუნქციური დანიშნულება: გასართობი ცენტრი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (10.10.13) დადგინდა:

„დ-ა“ ფასადზე: რელიეფი დაწეულია ქვევით. დამატებით მოწყობილია კონდენციონერები და სავენტილაციო ღიობები. „+3.65“ ნიშნულზე ნაწილ ფანჯრებს მონაცვლებული აქვს ადგილი და დამატებით მოწყობილია ორი ფანჯარა. „ბ-ა“ მონაკვეთში „+8.05“ ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. გაზრდილია კარების და ფანჯრების სიმაღლე. სახურავის კეხი აწეულია ზევით 1.00მ-ით და მის ქვევით დამატებით მოწყობილია კარი.

„7-1“ ფასადზე: „7-6“ მონაკვეთში კარის თავზე დამატებით მოწყობილია საჩრდილობელი. „3-2“ მონაკვეთში სახურავზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. დამატებულია მოცულობითი რეკლამა.

„ა-დ“ ფასადზე: „ა-დ“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულზე ნაცვლად საფეხურებისა მოწყობილია ბაქანი და პანდუსები. „ბ-ც“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი.

„1-7“ ფასადზე: რელიეფი აწეულია. „4-4“ ღერძის მიმდებარედ „+2.80“ ნიშნულზე კონსოლის ქვევით სივრცე არ არის შევსებული და ამავე ნიშნულის ზევით მოწყობილია კედლის დეტალი. „3-4“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი.

ფასადების ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს და დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

„+3.65“ ნიშნულზე: „4-7“ მონაკვეთში შექმნილია დონეები.

„+8.05“ ნიშნულზე: „1-3“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები. გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.30მ-ით.

_____ ლ. ჯღარკავა

_____ ლ. ცინცაძე